

2019 წლის 10 მაისი

**ქ.თბილისი**

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 10 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში. სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა დასაწყისად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი. სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ნ.პატაშვილის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 25 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და ქობულეთის „პონტო“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. ქობულეთის „პონტო“=ს მორაგბე ზურაბ მსხალაძე - მეტოქის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე გიორგი კერვალიშვილი-მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ამირან ყურაშვილი- მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
4. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ვანო კობტაშვილი - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
5. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე გიორგი გუჯაბიძე - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.6, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.6, 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

**გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე ზურაბ მსხალაძე დისკვალიფიცირებული იქნა 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე გიორგი კერვალიშვილი დისკვალიფიცირებული იქნა 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ამირან ყურაშვილი დისკვალიფიცირებული იქნა 8(რვა) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ვანო კობტაშვილი - დისკვალიფიცირებული იქნა 6(ექვსი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე გიორგი გუჯაბიძე - დისკვალიფიცირებული იქნა 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
5. კლუბების მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.6 და 2.8 პუნქტები და კლუბ თბ „ლოკომოტივის“ დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა, ხოლო კლუბ ქობულეთის „პონტო“-ს 1(ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/